ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

XVIII ს. მეორე ნახევარი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანა იყო. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კულტურის განვითარებისათვის. მიმდინარეობდა ევროპული კულტურის ათვისებისა და აღმოსავლური მაჰმადიანური კულტურის გავლენისაგან თავის დაღწევის პროცესი. ძლიერდება ეროვნული მოტივები.

1. სწავლა-განათლება. სასტამგო და საკალიგრაფიო საქმე

ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია სწავლა-განათლების საქმეს. დაფუძნდა რამდენიმე სასწავლებელი. 1755 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელმაც ბინა დაიდო ანჩისხატის ეზოში, კათალიკოსის სასახლეებთან მდებარე სპეციალურ შენობაში. იქ ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ქართული ენა, გრამატიკა, ფილოსოფია, გალობა, ლოგიკა, ფიზიკა და მათემატიკა. სემინარიის პირველი რექტორი იყო ცნობილი სწავლული ფილიპე ყაითმაზაშვილი. სემინარია აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს განადგურდა.

1758 წელს თელავში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1782 წელს გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზი (1782—1783 წწ.) — გაიოზ რექტორის სახელით ცნობილი. იგი იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც 1772 წელს ანტონ კათალიკოსს გაჰყვა რუსეთში. გაიოზმა განათლება ჯერ თბილისის სემინარიაში, შემდეგ კი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მიიღო. ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, რუსულ ენებს. იგი იყო ინიციატორი თელავში სემინარიის გახსნისა. მისი ორიგინალური

თხზულებებიდან ცნობილია „საქართველოს ისტორია“, მოკლე ქართული გრამატიკა, ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობის“ წინასიტყვაობა, საეკლესიო ქადაგებანი. ნათარგმნი ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ სოლომონის სიბრძნეთა თარგმანები, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ევროპის ქალაქთა ლექსიკონი და სხვ.

თელავის სემინარია სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა, წილს იღებდა ეკლესიის შემოსავლიდანაც, ეხმარებოდნენ კერძო პირებიც. სწავლება სალექციო ხასიათისა იყო, ცოდნის შემოწმება გამოცდის გზით ხდებოდა. წარჩინებულ მოსწავლეებს ხშირად აჯილდოებდნენ.

ანტონ კათალიკოსმა სემინარიებისათვის რამდენიმე ორიგინალური სახელმძღვანელო შეადგინა.

ანტონი (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი) (1720—1788 წწ.) — ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ღვთისმეტყველი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, ვახტანგის ძმის — იესესა და ერეკლე I ნაზარალიხანის ასულის, ელისაბედის ვაჟი იყო. 1739 წელს ბერად აღიკვეცა გელათში. 1744 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა. „ევროპეიზმის“ დანერგვის მოსურნე ანტონ I თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს დაუახლოვდა და კათოლიკობა მიიღო. მისმა მოწინააღმდეგეებმა კარის მოძღვარ ზაქარია გაბაშვილის (ბესიკის მამა) მეთაურობით 1755 წელს შეძლეს მისი კათალიკოსობიდან გადაყენება. 1756 წელს იგი პეტერბურგს გაემგზავრა. 1764 წელს ერეკლე მეფის მოწვევით კვლავ საქართველოში ჩამოვიდა და კათალიკოსის ტახტი დაიბრუნა. ანტონ I ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, თურქულ, სპარსულ, რუსულ ენებს და თარგმნიდა ამ ენებიდან. საფუძვლიანად იცნობდა ევროპულ და რუსულ საღვთისმეტყველო ლიტერატურას. 1772 წელს ერეკლემ დიპლომატიური მისიით გაგზავნა რუსეთში. მონაწილეობდა 1783 წლის ტრაქტატის მომზადებაში.

ანტონ I მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებიდან უნდა დავასახელოთ „კატეხიზისი“, „ღვთისმეტყველების“ 4 ტომი, აგებული, უმთავრესად, ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიის საფუძველზე, ქართული ენის გრამატიკა. ანტონმა სახელმძღვანელოს სახე მისცა ფილოსოფიურ ნაწარმოებს „კატიღორიათა არისტოტელისთა შეყუანილება“, რუსულიდან ქართულად თარმგნა ვოლფის „ფიზიკა“, ბაუმაისტერის „ლოგიკა“. ამ ორი უკანასკნელი ნაშრომის ქართულად

თარგმნა იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართული ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო აზროვნება სქოლასტიკისაგან თავისუფლდებოდა.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა, ქართლ-კახეთში კერძო სკოლებიც არსებობდა, სადაც ქართველებთან ერთად სომხები და მაჰმადიანებიც სწავლობდნენ. იქ ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, ქართულ ენას, გრამატიკას, არითმეტიკას. თბილისში 1778 წელს გახსნილ კერძო სკოლაში რუსულ ენასაც ასწავლიდნენ, რაც სამეფო კარის პოლიტიკურ ორიენტაციას შეესაბამებოდა.

ცალკე არსებობდა კათოლიკეთა კერძო სკოლა, რომელმაც თეიმურაზ II მიერ ქართლ-კახეთიდან კათოლიკეთა განდევნის (1755 წ.) შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 60-იან წლებში ერეკლე შეეცადა ქართლში კათოლიკეთა დაბრუნებას და მათი მეშვეობით ქართულ სკოლებში უცხო ენების სწავლებას.

წერა-კითხვას და გალობას ასწავლიდნენ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, სადაც სწავლის ხარჯს მოსწავლეთა მშობლები იხდიდნენ.

მსხვილ საეკლესიო ცენტრებთან არსებობდა სკოლები დასავლეთ საქართველოშიც. აქ ახალგაზრდებს სასულიერო სარბიელზე მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა უცხო ენების შესწავლას, რაც, შემეცნებით ინტერესთან ერთად, განპირობებული იყო უცხოეთის ქვეყნებთან გაცხოველებული ურთიერთობითაც. უცხო ენებს (თურქულს, რუსულს, ფრანგულს და სხვ.) ფლობდნენ იმერეთის ელჩები, სამეფო კარის მოხელეთა და ვაჭართა ნაწილი. როგორც ჩანს, ენის შესწავლის მიზანს ემსახურებოდა XVIII ს. 80—90-იან წლებში ვარძიის (იმერეთში) მონასტერში ადგილობრივი პირის მიერ შექმნილი „ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი“.

ფეოდალთა წრეში ფართოდ იყო გავრცელებული გაძიძავება, როგორც აღზრდა-განათლების პირველი საფეხური. ძიძის შემდეგ ბავშვს რომელიმე სასულიერო პირს ან ფეოდალს მიაბარებდნენ ხელმე აღსაზრდელად და გასაწვრთნელად. მაგალითად, სოლომონ I ძე — ალექსანდრე გიორგი წულუკიძეს ჰყავდა მიბარებული. საისტორიო წყაროთა ცნობებიდან ჩანს, რომ დაუსრულებელი ომიანობის გამო ვაჟები ძირითადად სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებული, ქალები უფრო მეტად ცდილობდნენ წერა-კითხვის შესწავლას.

1799 წელს იოანე ბატონიშვილმა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის იდეა წამოაყენა. მისი აზრით, ასეთი სასწავლებლები უნდა არ-

სებულიყო თბილისში, გორსა და თელავში. მაგრამ ამ აზრს, ისევე როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის პროექტებს, განხორციელება არ ეწერა.

1749 წელს თბილისში განახლდა XVIII ს. 20-იან წლებში გაუქმებული სტამბა. დაიბეჭდა „დავითნი“. დაიწყო ახალი პერიოდი ქართული სტამბის ისტორიაში. ყურადღება ექცეოდა როგორც ტექსტის სტილისტურ დამუშავებას „ღრამატიკისა კანონთა ზედა“, ასევე წიგნის მხატვრულ გაფორმებას. სტამბაში შემოიღეს წიგნის გამფორმებლის სპეციალური თანამდებობა. ცნობილია მხატვარი იოანე, რომელმაც განაახლა წიგნის გაფორმების ტრადიცია და მორთო 1749—1755 წწ. გამოცემული ტიპიკონი.

1782—1794 წლებში სტამბაში შეცვალეს მოძველებული მანქანა-იარაღები და შრიფტი. კონსტანტინოპოლიდან მოწვეულმა ოსტატმა ქართული სტამბისათვის ნუსხური და მხედრული შრიფტი ჩამოასხა. 80-იანი წლებისათვის სტამბის მუშაკთა შორის იხსენიებიან „მესტამბეთ-უხუცესი“, „ბეჭდვის ზედამდგომელი“, „სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი“, „ღრამატიკულ კანონზე შემსწორებლები“ და სხვ.

თბილისის სტამბაში მაღალ დონეზე იდგა სასტამბო საქმის სწავლებაც. საგანგებოდ მოუწვევიათ სასტამბო ხელობის მცოდნე პირები, რომლებიც სტამბის მუშაკებს ამზადებდნენ და გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ.

XVIII ს. 80-იან წლებში თბილისის სტამბაში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა: თუ მანამდე იგი სახელმწიფოს ხელში იყო, ამიერიდან მოიჯარადრე ქრისტეფორე კეკერაშვილის ხელში გადასულა, რომელიც თავის თავს სტამბის „ზედამხედველს“ უწოდებს. მას „საკუთარი საფასით“ დაუბეჭდავს სახარება, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, მარხვანი. ამას გარდა, სტამბას ერეკლე მეორის „საფასეთა წარდგენით“ სხვა წიგნებიც დაუბეჭდავს. ახალი სტამბიდან სულ 10.000 ცალამდე წიგნი გამოსულა.

ქართული სტამბაც აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს დაინგრა, 1795 წელს. მისი აღდგენა მხოლოდ 4 წლის შემდეგ მოხერხდა ქრისტეფორე ბადრიძის თაოსნობით.

XVIII ს. მიწურულს სტამბა დაარსდა ქუთაისშიც, „პალატსა სამეფოსა“. სტამბისათვის საჭირო მოწყობილობა მოსკოვიდან ჩამოიტანა სოლომონ II მიერ გაგზავნილმა გიორგი პაიჭაძემ.

ქართული წიგნი უცხოეთშიც იბეჭდებოდა. 1786 წელს ეპისკოპოსმა გიორგი ხარჭაშნელმა პეტერბურგში გახსნა ქართული სტამბა. გაიოზ რექტორმა საკუთარი სახსრებით დააარსა სტამბა მოზდოკში.

სტამბური წიგნი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებდა სრულად წიგნზე მოთხოვნილებას. კვლავ ვითარდებოდა კალიგრაფიული საქმე. წიგნების გადაწერა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. წიგნის გადამწერთა დასი ჩამოუყალიბებია იესე ბარათაშვილს. მას ჰყოლია 30 შეგირდი-გადამწერი — „ზოგი სამღუდელო და ზოგი საერო", რომელთაც ერთნაირი ტანსაცმელი სცმიათ — „ქალსა და კაცსა მაუდის ტოლომა და ლაინის კაბა, ახალუხი". „სამღვდელოს წიგნებს ვწერდი, ვყიდდი და ამით მოვირეწდიო", — წერს იესე ბარათაშვილი.

კალიგრაფთა კერებიდან განსაკუთრებით ცნობილია მესხიშვილთა საკალიგრაფიო სკოლა. ამ დინასტიის მეთაურია ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილი — ანჩისხატის დეკანოზი (მესხიშვილთა მოღვაწეობა ძირითადად ანჩისხატის ტაძართანაა დაკავშირებული). იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან". ალექსის გადაწერილი აქვს როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნები და საბუთებიც. ყველა მათგანი კალიგრაფიული ნაწერი არ არის, ზოგიერთი შესრულებულია სწრაფი ხელით. ალექსი შეიძლება ჩაითვალოს XVIII ს. ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად. მისი ნუსხური საგრძნობლად დახრილია, ლამაზი, ისეთი ვირტუოზული სიზუსტით ნაწერი, თითქოს ავტომატის შესრულებული იყოს. განსაკუთრებით საოცარია ოთხთავის მინიატურული ხელნაწერი, ზომით 5.5X4 სმ, რომლის ტექსტი მიკროსკოპული ნუსხურითაა ნაწერი ორ სვეტად, შავი მელნით. მისი წაკითხვა გამადიდებელი შუშის გარეშე შეუძლებელია. როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, ეს ხელნაწერი არა მარტო დახელოვნების ნაყოფია, არამედ უსაზღვრო მოთმინებისა და რწმენისა. მხედრულად ნაწერ წიგნთაგან აღსანიშნავია აგრეთვე საბას ლექსიკონი: მას დართული აქვს თვით საბას პორტრეტი — როგორც ჩანს, ალექსისავე ხელით შესრულებული. საერთოდ, ალექსის ბევრ წიგნს ახლავს ილუსტრაციები, რომლებსაც, თუმცა ისინი ხელოსნურ იერს ატარებენ, დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულება გააჩნიათ (განსაკუთრებით — საბასა და ქართველ წმინდანთა პორტრეტებს).

შესანიშნავი კალიგრაფები იყვნენ ალექსის ვაჟებიც — სოლომონი და დავითი (იგივე დავით რექტორი, რომელიც 1790—1801 წწ. სათავეში ედგა თელავის სემინარიას), რომელთა შესახებ იგივე „კალმასობა" გვეუბნება: „მათაც ისწავლეს ხუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულა უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა". თეიმურაზ ბაგრატიონი (გიორგი XII — ძე) ასე ახასიათებს სოლომონის ერთ-ერთ ხელნაწერს: „...მრგვალის-ხელით ესრეთი წერილი არს, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ეგევითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად შესაძლებელ არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო".

ცნობილი კალიგრაფები იყვნენ აგრეთვე მიქაძენი (ნიკოლაოზი— თბილისის სიონის დეკანოზი და მისი ძმა ზაქარია — ბერობაში ამბროსი ნეკრესელი), თბილისის ჯვრის საყდრის დეკანოზი იოანე მოძღვრიშვილი, იოანე ოსეს ძე, ტრიფილე, ნიკოლოზ მაღალაძე, იესე ოსეშვილი და სხვ.

დასავლეთ საქართველოში წიგნების გადაწერა-შემკობის ძირითადი ცენტრები იყო ქუთაისში, გელათში, კაცხში, ჯრუჭში, ჭელიშში, ნიკორწმინდაში, ლეჩხუმში, მარტვილში, შემოქმედსა და სხვაგან.

ეკლესია-მონასტრებთან მდიდარი წიგნსაცავები არსებობდა. მრავალი წიგნი ინახებოდა დავით გარეჯის მონასტრებში, თბილისის სიონში, შიომღვიმეში, მცხეთის საკათალიკოსო ბიბლიოთეკაში, გელათში, მარტვილის, ხობის, ცაიშის, ხონის მონასტრებში, გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში, შემოქმედის მონასტერში. ანტონ კათალიკოსის წიგნსაცავში, რომელიც სპარსელებმა გაანადგურეს 1795 წელს, დაახლოებით 7.000 ტომი ინახებოდა.

მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ კერძო პირებსაც: იესე ოსეს ძეს, მზეჭაბუკ ორბელიანს, დავით ორბელიანს, დადიანებს, გურიელებს, რაჭის ერისთავს.

ეკლესია-მონასტრებში თავს იყრიდა აგრეთვე სხვადასხვა სახის სიძველენი. XVIII ს. დასაწყისიდან სამეფო სალაროსთან („ბატონის სალარო") არსებობდა საცავი, სადაც ინახებოდა შემთხვევით აღმო-

ჩენილი სამარხეული თუ სხვა ნივთები, აგრეთვე ბუნების საოცრებანი. ერეკლე მეორის დროს ასეთი საცავის არსებობაზე მოგვითხრობს თეიმურაზ ბაგრატიონი: „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა ივერიისათა, რომელთაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთა უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნნეს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპ მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად, იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა აღა მაჰმადხან ყაჯრისასა წარწყმედილ იქმნნეს“.

XVIII ს. ბოლოს მომწიფდა აზრი, რომ უნდა შექმნილიყო „წერილების საცავი სახლი“, ივივე „არხივი“, ბიბლიოთეკა და მუზეუმი. 1799 წელს იოანე ბატონიშვილი წერდა გიორგი XII: „ეგრეთვე იყოს ბიბლიოტიკას სახლი, ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი რაც შეიძლებოდეს იქ იცვებოდეს, აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატვრობებისა და სხუათა ხელოვნებათა, და ვისაც ენებოს მივიდოდის და თვისით ხარჯით იქ გადაწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“.

2. მეცნიერება

ისტორიოგრაფია. XVIII ს. მეორე ნახევარში ორი საყურადღებო საისტორიო თხზულება შეიქმნა: პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და ომან მდივანბეგ ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“.

პაპუნა ორბელიანის თხზულება სეხნია ჩხეიძის 1739 წლით შეწყვეტილი ისტორიის გაგრძელებაა. იგი 1739—1759 წლების ამბებს მოგვითხრობს. „მე პაპუნა ორბელიანმა ხელჰყავ აღწერად, პირველად, რათა არა დავიწყებულ იქმნენ ესე ვითარნი ამბავნი და მეორედ, შემდგომნი ჩვენნი მოიხსენიებდენ ესეოდენთა ჟამთა, ვითარებათა და ქცეულებათა, — გვეუბნება ავტორი, — არაოდეს ყოფილარიან ესე ვითარნი იწროებანი ქართლისანი და მალიადნი ცვალებანი დამპყრობელთა და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისანი, მწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი, რომელი მე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“.

„ამბავნი ქართლისანი“ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას გადმოგვცემს. მასში მოცემულია მასალა სახელმწიფო-ადმინისტრაციული და საეკლესიო წესწყობილების, საგადასახადო სისტემის, აღებ-მიცემობის, სავაჭრო გზების შესახებ. ავტორი მოთხრობილი ამბების თანამედროვეა, ეს კიდევ უფრო ზრდის თხზულების მნიშვნელობას. ამავე დროს, იგი ამბის უბრალო მთხრობელი კი არ არის, არამედ ცდილობს გააანალიზოს ფაქტები და მოვლენები. საყურადღებოა მიზანი, რომელსაც პაპუნა ორბელიანი ისახავდა: „რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინადგან ესე ოდენი ჭირნი და იწროებანი წარგუხდიან და იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა რომლისა მიზეზითა იქმნეს ესე ყოფილი“.

ივ. ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა პაპუნა ორბელიანის ნაშრომს: „პ. ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული, ღრმა-მოაზროვნე და ეროვნულ-საზოგადოებრივი გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია... თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღორძინების ხანის ქართული საისტორიო მწერლობის მშვენებად ვახუშტის შემდგომ სწორედ პაპუნა ორბელიანი უნდა ჩაითვალოს“, — წერდა იგი.

ომან ხერხეულიძის ნაშრომში „მეფობა ირაკლი მეორისა“ თხრობა 1722 წლით იწყება და 1787 წლით მთავრდება. ერეკლეს მოღვაწეობიდან ავტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მხედართმთავრული ნიჭი, ერეკლეს მიერ გადახდილი ომები. ნაშრომი ქრონიკის ხასიათისაა. ისტორიული ამბების თხრობა ძალზე მოკლეა და მშრალი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ თხზულებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერეკლეს მოღვაწეობის შესასწავლად, განსაკუთრებით — 1758 წლიდან მოყოლებული, თუმცა „ომან მდივანბეგ ხერხეულიძის მატიანე ვითარცა საისტორიო ნაწარმოები, მაინცდამაინც დიდი არაფერია და პაპუნა ორბელიანისას ხომ ძალიან ჩამოუვარდება“.

ამავე პერიოდში გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ნუსხა — ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული და ჭალაშვილისეული. გადაიწერა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაც. შედგა ქართულ ორიგინალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებათა ახალი კრებულები, როგორიც იყო, მაგალითად, დავით რექტორის მიერ შედგენილი საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერილობა.

ასოებით), იყო კლასიკური ტიპის აშუღი — თავად თხზავდა ლექსსა და მელოდიას, თავადვე უკრავდა და ამღერებდა მას. ერთხანს ერეკლეს აშუღი იყო, შემდეგ რატომღაც სასახლიდან დაითხოვეს. 1765 წელს ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში. ბერობაშიც აგრძელებდა აშუღობას. საიათნოვას პოეზიაში ძირითადია სატრფიალო მოტივი, თუმცა მისთვის არც მოქალაქეობრივი, რელიგიური და დიდაქტიკური მოტივებია უცხო. მისი ლექსები უმთავრესად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. საიათნოვამ, როგორც ნიჭიერმა ხელოვანმა, დიდი გავლენა იქონია შემდეგდროინდელ აშუღურ პოეზიაზე საქართველოში.

ვითარდებოდა აგიოგრაფიული ლიტერატურა. ამ ჟანრს განეკუთვნება ანტონ I მიერ შედგენილი „მარტირიკა" — 29 ქართველი წმინდანის ცხოვრების კრებული, და იამბიკოდ დაწერილი კრებული „პროლოგი". ქრისტიანულ-მართლმადიდებლური დოგმების დაცვა-განმარტების ბრწყინვალე ნიმუშებია მისი ორი ნაწარმოები: დოგმატიკური ღვთისმეტყველება" და პოლემიკური „მზა-მეტყველება".

აქვე ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ ქართული ორატორული ხელოვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი სოლომონ ლეონიძე (1754—1811 წწ.) — ერეკლე მეორის უახლოესი მრჩეველი, დიპლომატი, სახელმწიფო მსაჯული და მდივანი. მჭევრმეტყველების შესანიშნავი ძეგლია სიტყვა, წარმოთქმული მცხეთაში, ერეკლე მეორის დაკრძალვის დღეს — „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა" (1798 წ.), რომელიც იშვიათი შთამბეჭდაობით გამოირჩევა.

4. ხელოვნება

XVIII ს. 40—50-იან წლებში ფართო მშენებლობა გაჩაღდა ქართლ-კახეთში. იმ დროის თვალსაჩინო ძეგლებია: ქალაქი სიღნაღი თავისი მონუმენტური გალავნით, თელავის ციხე-გალავანი და სამეფო სასახლე, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი „საჩინო" თბილისში. მის მიერვე აშენებული ქოლაგირის გალავნიანი ციხე (თბილისი-ბოლნისის გზაზე). 70-იან წლებში ნინოწმინდის ეკლესიის ეზოში აიგო ევროპული არქიტექტურის გავლენით დაპროექტებული და შესრულებული საბა ტუსიშვილისეული სასახლე. 1805 წ. დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსი მოხელის — ლიტვინოვის ცნობით, ევროპული წესით ყოფილა აგებული დადიანის სასახლეც. არსებობს მსგავსი

ცნობები იმერეთის მეფის, გურიელის, როსტომ წერეთლის და სხვა ფეოდალთა სასახლეების შესახებაც.

ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების იმდროინდელ ნიშუშებს დაკარგული ჰქონდათ ადრინდელი დიდებული, მოხდენილი ფორმები, მაგრამ ოსტატებს ახლის ძიების სურვილი არ დაუკარგავთ.

მიმდინარეობდა დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლებაც. თბილისში მუშაობდნენ ნარიყალას კოშკებისა და გალავნების, მეტეხის ციხის, მისი ტაძრისა და მეფის სასახლის აღსადგენად. თვითონ მეფე ერეკლე თბილისში ე. წ. როსტომისეულ სასახლეში ცხოვრობდა.

ანალოგიური ხასიათის სამუშაოებს საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც. XVIII ს. ბოლოს რესტავრირებულ იქნა გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, 1777 წელს — ვარძიის (იმერეთში) მონასტრის სამრეკლო. 1753 წ. რაჭის ერისთავმა როსტომმა ბარაკონის ეკლესია ააგებინა. სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობდა აგრეთვე ლეჩხუმში და სამეგრელოში. გაიზარდა მოთხოვნილება ხუროთმოძღვრებზე, ქვითხუროებზე.

ვითარდებოდა მონუმენტური ფერწერა. მხატვარმა ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესია და რამდენიმე სხვა ტაძრის კანკელები, მანვე „განაახლა სიფრთხილითა ანანურისა ეკლესიისა კედელზედ დახატული ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი". იხსენიებიან მხატვრები იობი, გრიგოლი (მუშაობდა შემოქმედის მონასტერში). რამდენიმე მოხატულობა შემორჩა რაჭასა და სამეგრელოში.

შედარებით მაღალ დონეზე იდგა ხელნაწერ წიგნთა მხატვრული გაფორმების საქმე, რომელიც ეროვნულ ტრადიციებს აგრძელებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სახიობისა და თეატრის განვითარებისათვის. იქმნება დრამატული ნაწარმოებები: პოეტი ქალის მანანას „ციებისა და ქალის ბაასი", ალექსანდრე ამილახვრის პიესა „მოქმედება ასტრახანში", ანონიმური პიესა „სამსახიობა რაინდისა".

ერეკლე მეორის დროს სასახლის კარის სახიობას მეთაურობდა „უფროსი მსახიობთა, რომელსა დებდნენ მაჩაბელად". სამწუხაროდ, მაჩაბელას სახელი და გვარი ისტორიას არ შემორჩა. კრწანისის ბრძოლაში თბილისელთა ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და მეომრებს თავისი ხელოვნებით აღაფრთოვანებდა. იგი გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლაში.

სახიობის ცნობილი მგოსანი იყო იარალი შანშიაშვილი, დასს ამშვენებდა კარის ამული საიათნოვა.

რუსეთში ერეკლეს ელჩის ამალის ერთ-ერთ წევრს — გაბრიელ მაიორს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მეფის სასახლის ახლოს თეატრი გაუმართავს, სადაც მაყურებელი წარმოდგენებს ორშაურიანი ბილეთებით ესწრებოდა. ეს დასი წარმოდგენებს თელავშიც მართავდა. დგამდნენ საერო და სასულიერო (მისტერიულ) დრამებს. გაბრიელი, რომელიც ერეკლეს „არტილერიის თავად" დაუნიშნავს, კრწანისის ბრძოლაში დაიღუპა.

XVIII ს. მიწურულს საფუძველი ჩაეყარა ქართულ დრამატულ მწერლობას. თავდაპირველად, რადგან ქართული პიესები ცოტა იყო, ხშირად მიმართავდნენ თარგმანს, განსაკუთრებით — რუსულიდან. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გიორგი ავალიშვილი (1769—1850 წწ.) — მთარგმნელი და დრამატურგი, რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო და ცხოვრების უმეტესი ნაწილიც იქ გაატარა. მან ქართულად თარგმნა ცნობილი რუსი დრამატურგის ა. სუმაროკოვის კომედიები, თავად შექმნა და დადგა ორიგინალური ქართული პიესა „მეფე თეიმურაზი". ჩვენამდე მოღწეულია გ. ავალიშვილის ლექსი, რომელსაც წარმოდგენის დაწყებამდე კითხულობდნენ. იგი საგულისხმოა იმით, რომ გვაცნობს ავტორის აზრს თეატრის პრაქტიკულ დანიშნულებაზე. ავალიშვილის თეატრში 1795 წელს დაიდგა დავით ჩოლოყაშვილის (1734—1808 წწ.) მიერ რუსულიდან თარგმნილი რასინის „იფიღენია". ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, გიორგი ავალიშვილის თეატრი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში.

* * *

XVIII საუკუნით დამთავრდა ერთი დიდი ეტაპი ქართული კულტურის განვითარებაში. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ცხოვრებაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა — სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ (1801 წ. რუსეთმა შეიერთა ქართლ-კახეთის, 1810 წ. — იმერეთის სამეფოები) და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წ.) არსებითად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების პირობები და დასაბამი მისცა ახალ, რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ეტაპს ქართული კულტურის ისტორიაში.

ქართული კულტურა ევროპული განვითარების გზაზე (XIX ს. პირველი ნახევარი)

„სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა. იმდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის", — ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძემ XIX ს. მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიაში. მთავარი და ძირითადი, რაც მემკვიდრეობით ერგო საქართველოს, ეს არის მტკიცე, ჯანსაღი ეროვნული თვითშეგნება, ქრისტიანულ ფასეულობათა იმედით აღსავსე რწმენა, რამაც ჩამოაყალიბა „საქართველოს ზნეობანი", მისი კულტურული იერსახე. მიუხედავად პოლიტიკური დაქსაქსულობისა, დიდი ტერიტორიული დანაკარგებისა, მუსლიმური კულტურის გავლენისა და მისი მოჭარბებისა, შენარჩუნებულ იქნა ქართველობის ცნება, ქართული კულტურის ერთიანობის იდეა, რომლის იდეოლოგიურ საფუძველს მართლმადიდებლობა და მის წიაღში შობილი ქართული დამწერლობა წარმოადგენდა. მიუხედავად ძნელბედობისა, მაინც „შეიქმნა ქართველობა". თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა სწავლა-აღზრდის, განათლების ტრადიციული სისტემა. მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ა. ორბელიანის (1802—1869 წწ.) თანახმად, „ძველი სწავლა ჩვენი ქართველებისა" ყოფილა ზრდილობა, უფროსების პატივისცემა, დედმამის მორჩილება, სასულიერო და საერო განათლება, საერო და საღმრთო წერილების კითხვა. გავრცელებული იყო ხალხური სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ცხენოსნობა, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, მოისრობა და სხვა, რაც ახალგაზრდობის სამხედრო წრთობას ემსახურებოდა. საერო თუ საეკლესიო დღესასწაული, დღეობა წარმოუდგენელი იყო სპორტული შერკინებების გარეშე.

მიუხედავად ევროპისაგან მრავალსაუკუნოვანი იზოლაციისა, ქართველობა დასავლური კულტურის შემადგენელ ნაწილად რაცხავდა თავს და ყოველთვის ეძიებდა ევროპასთან დაახლოების გზებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მიმართულებით კათოლიკე მისიონერების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას საქართველოში. მწერლის, მთა-